

ხელნაწერებით გაცოცხლებული ჩემი ისტორია

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის საქართველოში საკმაოდ მძიმე ვითარება იყო შექმნილი. 1795 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ალა-მაჰმად-ხანი შემოესია. მან კრწანისის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ქართველები და თბილისი გადაწვა. 75 წლის მეფე თავგანწირვით იბრძოდა ზემოთ ხსენებულ ომში. შვილიშვილებმა იგი ძლივს გაარიდეს ბრძოლის ველს.

მარცხმა მძიმედ იმოქმედა როგორც პირადად მეფეზე, ასევე სამეფოზეც. 1798 წლის 11 იანვარს ერეკლე II თელავში, თავის სასახლეში, იმ ოთახში გარდაიცვალა, რომელშიც დაიბადა. ქვეყანაში დიდმა გლოვამ დაისადგურა. ერეკლეს გლოვობდა დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ქართლ-კახეთში მცხოვრები ყველა ეროვნების, საზოგადოების ყველა ფენისა და სარწმუნოების ადამიანი. ისინი თავიანთი პატრონისა და გულშემატკივრის დაკარგვას განიცდიდნენ.

სწორედ ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან იწყება ჩემი ამბავიც, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს ისტორია იმ ავადხსენებული ახალი წლის წინა დღეებში დაიწყო, როცა ერეკლე მეფე გარდაიცვალა. ბატონმა მოითხოვა მას თელავში, თავისსავე სასახლეში რომ ვხლებოდი და მე ვინ ვარ ჩემი ხელმწიფის სურვილი რომ არ შემესრულებინა?! პატარა კახის ყოველი ბრძანება ხომ უფლის ნებად და სიტყვად მიგვაჩნდა ყველას. საჩქაროდ გავეშურე ჩემი სოფლიდან თელავში და მეფეს ვეახლე.

მეფე საკმაოდ დაუძღვრებული დამხვდა, სასიკვდილო სარეცელზე, რასაც „ალბათ, თავადაც ხვდებოდა, ამიტომაც დამიბარა და ასეთი დავალება მომცა:

- ჩემი დღეები დათვლილია, გიორგი ჩემო... დღეს ან ხვალ მოგვკვდები და ამას ვერავინ შეაჩერებს, ალბათ, ასეც არის საჭირო. ძალზედ მიმძიმს ქართველი ერის ასეთ მდგომარეობაში დატოვება, მაგრამ რას ვიზამთ?! შენვის უკანასკმნელი დავალება მაქვს, და მინდა იგი პირნათლად შეასრულო, როგორც გჩვევია.

რაღა ბევრი გავაგრძელო და, ჩემმა სათაყვანო ირაკლიმ საკმაოდ მძიმე ტვირთი დამადო კისრად. მან დამავალა მეფის პირადი იარაღის შეგროვება და შენახვა. სიკვდილის წინ ჯაბადარბაშის ტიტული მიბოძა. მე უნდა დამეცვა და მომავალი თაობისათვის გადამეცა ის იარაღი, რომლებმაც ერეკლე მეფის გმირობაზე ალაპარაკა აღმოსავლეთიც და დასავლეთიც.

საუბრის დასასრულისთვის მეფემ თავისი ძალზედ ძველი ოქროს ხანჯალი გადმომცა, რომელსაც იგი სიცოცხლის მანძილზე არ იშორებდა ... ამ ფაქტმა საკმაოდ ცუდად იმოქმედა ჩემზე, მაგრამ რას ვიზამდი?! თვალები ცრემლებით ამევსო - ჩემ წინ ხომ უკვე ძალღონეგამოცლილი, ნახევრად ჩამქრალი თვალებით სასთუმალს მისვენებოდა ადამიანი, რომელმაც სწორედ ამ ხანჯლით უამრავი გმირობა ჩაიდინა, ეს იარაღი ბრძოლებში სისხლით გამოაწრთო და წლების მანძილზე უერთგულეს მეგობრად მიიჩნეოდა.

ზემოხსენებული ოქროს ხანჯალი გახლდათ ის იარაღი, რომლის წყალობითაც პირველად შევხვდი დავუახლოვდი ჩემს სათაყვანო მეფეს.

მახსოვს, ერთხელ, ყარაბახთან გაცხოველებული ბრძოლისას მეფეს ეს მახვილი ხელიდან გაუვარდა, თუმცა ამან მისი შეტევა ვერ შეაჩერა, იქვე გარდაცვლილი მეომრის ხანჯალი იგდო ხელთ და ბრძოლა ისეთივე წარმატებით განაგრძო. თუმცა, ვხვდებოდი, რომ ის იარაღი, რომელიც ერეკლემ დაკარგა მისთვის შეუცვლელი იქნებოდა. ასე რომ, მისი მოძებნა გადავწყვიტე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის ჩვენ რუსთა ჯარის დახმადება გვყავდა, მტერი მრავალჯერ აღგვემატებოდა, რის გამოც თითო მეომარს 2-3 კაცთან ერთდროულად გამკლავება გვიწევდა. ხანჯლის ძიებაში ერთი ტანმალალი ყარაბახელი გადამეყარა, რომელსაც თვალეზშივე ეტყობოდა, როგორ სწყუროდა ჩემი, ან რომელიმე ქართველის სისხლი. რა თქმა უნდა, უკან არ დავიხევდი მის წინაშე და მედგრად დავუდექი. შეტევაზე პირველად ყარაბახელი გადმოვიდა, რამაც მე გარკვეული უპირატესობა მომანიჭა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოგერიება მაინც გაჭიანურდა. კარგად მახსოვს, როგორი გმინვით დაეცა გულ-მკერდიში დაჭრილი ყარაბახელი და რაც უფრო მეტად დამამახსოვრდა იყო ის, რომ მას წელსარტყამზე სევადით ჰქონდა ჩამოკიდებული ჩემი მეფის ხმალი. უნდა გენახათ ჩემი იმჟამინდელი ბედნიერება, გამოწვეული იმით, რომ მე შევძლებდი და მეფეს გავახარებდი. რა თქმა უნდა, ასეც მოხდა. მეფე, ათი ყარაბახელით გარშემორტყმული, ლომივით იბრძოდა, სწრაფლ ჩავები უთანასწორო ბრძოლაში და ერთად დავამარცხეთ მტრები. ნეტავ დაგენახათ პატარა კახის ერთდროულად გაკვირვებული და ნასიამოვნები სახე, როცა მას ხმალი დავუბრუნე. სწორედ ამ დროს მოვეწონე და მას შემდეგ გვერდიდან აღარ მიშორებდა.

ეჰ, გამიტაცა ძველ, საამაყო ამბავთა გახსენებამ! ისევ ჩემს ამჟამინდელ მოვალეობებზე მოგიტხრობთ. იმ საგნების სია, რომელიც უნდა შემეგროვებინა, საკმაოდ დიდი იყო, სწორედ ამის გამო მოვანდომე მას რამდენიმე წელი. სიაში შედიოდა უამრავი საბრძოლო თოფი, დანა, ხანჯალი და მეფის საყვარელი ცალთვალა დურბინიც კი. ნივთები ძირითადად ბატონის სასახლეში იყო, მაგრამ რამდენჯერმე მომიწია საკმაოდ რთული გზის გავლა, რათა ის ნივთებიც დამებრუნებინა, რომლებიც ბატონმა დროებით დაუტოვა თავის ერთგულებს ქვეშემბრდომებს. ძალიან გამიჭირდა მეფესთან დაახლოებული პირის - მანიჟასათვის იარაღების გამორთმევა. მას, სავარაუდოდ, არც კი ჰქონდა ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ მეფემ მე დამნიშნა მისი საყვარელი საბრძოლო ნივთების შემგროვებლად და მცველად, მაგრამ მალევე ეს პრობლემაც მოგვარდა მეფის ძის, გიორგის დახმარებით.

1801 წელს, გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანაში ყველაფერი შეიცვალა; რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა და, რაღა თქმა უნდა, ჩემი საქმიანობაც უფრო გართულდა. იმპერიას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ დიდებული წარსული, რომელიც საქართველოს ეამაყებოდა, უნდა დავიწყებულიყო. ამის გამო იძულებული გავხდი, რომ ჩემი მოვალეობა იდუმალ აღმესრულებინა. იარაღების შეგროვება და აღნუსხვა დაახლოებით 1805 წლისათვის განვასრულე და განვიზრახე, იგი იმჟამად საქართველოს ხელუხლებელ ტერიტორიაზე, იმერეთში, გადამეტანა. რა თქმა უნდა, იმერეთის მეფემაც ხელი შემიწყო ამაში, ჩვენი ირაკლი ხომ ყველასათვის საყვარელი იყო.

გარდაცვალებიდან კიდევ ათწლეულები იხსენებდნენ მეფეს, რომელმაც შეძლო და კვლავაც მისცა ხალხს იმედი და რწმენა იმისა, რომ საქართველო კვლავ გაძლიერდებოდა. ხალხი კვლავ იხსენებდა საყვარელ "პატარა კახს". პირადად ჩემთვის სწორედ ამ შეუფასებელ ნივთებში, რომელნიც ბატონმა მე მანდო, ცხოვრობდა და ცოცხლობდა ერეკლე მეფე .

რაც შემეხება მე, ჩემი საქმიანობის, ვგონებ , პირნათლად აღმსრულებელი, სასიკვდილო სარეცელზე მყოფი ხსენებასა და ლოცვა-კურთხევას ვითხოვ ამა წერილის წამკითხავთაგან!

ავტორი: გიორგი ხვთისიაშვილი, ასაკი: 15 წლის; ქალაქი: თბილისი, სკოლა: N 52 საჯარო სკოლა, კლასი: მე-10 ბ კლასი